


სახალხო გაზეტი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 456.

კვირა, 20 ნოემბერი 1911 წ.

დამატების № 80



დუთუზაკელი
(დ. ხორია).

ამ ნოემბერში შესრულდა 25 წელი, რაც საშფერლო ასპარეზზე მოღვაწის.

თ-დ იოსებ თახხან-მოუკაშის ასული ელენე.
(„ტრაფიატაში“).

მომღერალი ქალი, რომელიც ბ-ნმა ფალიაშვილმა მოიწვია საგასტროლოდ.

გაგაგა

... და ანუ მძულდა—ის კვლავ მიყვარს, ვინც მიყვარდა—იგი კი მძულს...
ეჰ, ვინ მცემს ყოფნის საზღვარს, ვინ მაღირსებს ყოფნის კუნძულს?..

არ მიყვარხარ, ჩემო კარგო, არ მიყვარხარ და... რა გიყო?—
რომელ წყალში გადავარდე, რომელ ზღვაზე გავირიყო...
არ მიყვარხარ... და არც ვიცი—რისთვის?!.. ან რამ მიძულა?!..
ან წამართვა შენი თავი, რომელ ღმერთმა შემაძულა?
არ მიყვარხარ... გრძობა ჩემი სევდის ცეცხლით გამოვკვებე,
არ მიყვარხარ, მაკრამ თუ გსურს ჩემი სული მეოცნებე—
ჰა, ინებე!..

... და ანუ მძულდა ის კვლავ მიყვარს, ვინც მიყვარდა—იგი კი მძულს...
ეჰ, ვინ მცემს თავ-შესაფარს ვინ მაღირსებს ყოფნის კუნძულს?!..


ხე, ფოთოლთ სარეცელზე მზის პეპელა როგორ კვდება,
ხე, ნამა, ბროლის ნამი მძივად როგორ ინასკვება...
ხე, მთვარემ ძირს დაუშვა—ცის წიაღით მონასხლეთი—
ცხლის კიბე საოცნებო, საოცნებო ცეცხლის სვეტი...
ხე, რა რიგ იცრემლება ბროწეულის ხე, მწვანე ხე,
მიტომ რო სხივთა ისრით მე იქ ნიავს ფრთა მოვსტებე...
შეხე... შეხე!..

არ მიყვარ... რა ვქნა? რა ვქნა? არ მიყვარხარ და... რა გიყო?—
რომელ წყალში გადავარდე, რომელ ზღვაზე გავირიყო...

ი. გრიშაშვილი.



სოცხალი გვამი.



კარენინი. რა დაგემართა, ლიზა? (მეზუთე მოქმ. მეორე სურათი).

სოცხალი გვამი

დრამა 6 მოქმედებად და 12 სურათად

(შემდეგი *)

პეტ. მერე, გვამი რომ ვერ იპოვეს?

ფელია. იპოვეს, წარმოიდგინეთ, — ერთი კვირის შემდეგ იპოვეს ვილასიკ ვახრწინილი გვამი. ცოლს აჩვენეს. ესაა? ესააო. ამით გათავდა საქმე. უამბარხეს, იმათ კი იქორწინეს და კეთილადაც სცხოვრობენ. აგერ ესა ვარ! ვცოცხლობ, ვსვამ. გუშინ იმათ სახლის წინ გავიარე. ფანჯრები გაშუქებული იყო, ფარდაზე ვილასიკ ჩრდილმა გაიარა. ხანდახან ცუდად ვგრძნობ ხოლმე თავს და ხან კი არაფერია. ცუდია, როდესაც ფული არ არის ხოლმე... (სვამს).

არტ. (მაჯა). — მაპატრეთ, მაგრამ გავიგე თქვენი ისტორია. ისტორია მეტად კარგი და უმთავრესად კი იმიტომ, რომ იგი — სასარგებლოა. თქვენა სთქვით, რომ ცუდია, როდესაც ფული არ არისო. მართლაც, მაგაზე ცუდი აღარაფერია. თქვენ კი, თქვენს მდგომარეობაში, ფული ყოველთვის უნდა გქონდეთ. თქვენ ხომ მკვლარი ხარ. ძალიან კარგი...

ფელია. უკაცრავად. თქვენთვის არა მითქვამს რა და არცა ვსაქიროებ თქვენს რჩევა-დარიგებას.

არტ. საკვიროთა ვთვლი. თქვენ უსულო გვამი ხართ, მაგრამ რომ გაცოცხლდეთ, მაშინ რაღას იტყვიან თქვენი მეუღლე და ის ვაჟბატონი, რომელნიც განცხრობით სცხოვრობენ. ისინი ხომ ეხლა ორ-ცოლ-ქმრიანი არიან და რაც გინდა კეთილად გათავდეს ეს საქმე, მაინც გაასეირნებენ შორეულ მხარეს. ამიტომაც, რად უნდა იყოთ თქვენ უფულოდ?

ფელია. გთხოვთ, თავი დამანებოთ.

არტ. მხოლოდ წერილი დასწერეთ. გნებავთ მე თითონ დავწერ, თქვენ მხოლოდ აღრესი მითხარით და მადლიერიც დამჩრებიოთ.

ფელია. გაეთრიეთ! თქვენ გეუბნებით! თქვენთვის არაფერი მითქვამს.

არტ. არა, მითხარით... აი ეს მოწმეა. ლაქიამაც გაიგო, თქვენა სთქვით, რომ უსულო გვამი ხართ.

ლაქია. ჩვენ არაფერი ვიცით.

ფელია. საზოზლარი!

არტემ. საზოზლარი?!.. ეი, პოლიციელო! ოქმი შეადგინე.

ფელია. (ადგება და მიდის. არტემივე იკავებს. ზოდიცუდიმადის).

ფ ა რ დ ა.

სურათი მეორე.

მოქმედება სწარმოებს სოფელში, ხვეულ მცენარეთ მოცულ ტერასაზე.

გ ა მ ო ს ვ ლ ა I.

ანნა დმიტრუენა კაკინისა, ჯიზა ფეს-მძამუჯ არის. ძაძა ბავშვით.

ლიზა. ეხლა სადგურთან გამოსულიც იქნებ.

ბავშვი. ვნა?

ლიზა. მან.

ბავშვი. მამა სადგურიდან მოდის!

ლიზა. C'est étonnant comme il l'aime, tout-à-fait comme son père.

ანნა დმიტრ. Tant mieux. Se souvient il de son père véritable?

ლიზა. (ამაოხრებს). — მაგას არ ვეუბნები. ეგ რალათ უნდა გავრიოთ.

შემდეგისათვის კი ფიქრობ, რომ უნდა ვუთხრა. თქვენ როგორა ფიქრობთ, marian?

ანნა დმიტრ. ფიქრობ, ლიზა რომ ეგ გრძნობის საქნეა და თუ შენ მიეცემი შენ გრძნობას, შენი გულივე გიკარნახებს, როდის რა უნდასთქვა, როგორ გასაოცარია რომ სიკვდილი ყოველივეს აპატივებინებს აღამიანს! გამოგიტყდები, იყო დრო, როდესაც ეგ, ფელია, — ხომ იმას პატარაობიდანვე ვცნობდი, — მეჯავრებოდა, მაგრამ ეხლა ის წარმოიდგება ხოლმე სისიამოვნო ახალგაზრდათ, — ვიქტორის მგობარათ და იმ ახირებულ კაცად, რომელმაც თუმიცა უკანონოდ, ურწმუნოდ, მაგრამ მაინც თავი იმათ შესწირა, ვინც კი უყვარდა. On aura beau dire, l'action est belle... იმედია ვიქტორი არ დაიფიწყებს კოტანას, თორემ მალე გამოითავდება კიდეც (ქსაყს).

ლიზა. აგერ ისიც მოდის. (აისმის ეტლის ხმა და ზარების წკარუნა. ჯიზა წამოდგება და ტერასის ბოლომდე მივა).

ლიზა. იმასთან კიდეც ვილაპა. შლაპიანი ქალია. დედა! ორი წელიწადია რაც ამ მინახივხარ (მიდის კარებთან).

გ ა მ ო ს ვ ლ ა II.

ჯიზა, ანნა დმიტრუენა კაკინისა, ძაძა ბავშვით. შემოდის კაკინის და ანნა ბავშვით.

ანნა პავლ. (ჰოცინის ჯიზას და ანნა დმიტრუენას). — ვიქტორი შემხვდა და წამომიყვანა.

ანნა დმიტრ. მშვენივრად მოქცეულა.

ანნა პავლ. რალა თქმა უნდა. კიდეცა ვიფიქრე: ეხლა რომ კიდეც გადავსდო, როდისლა ვნახო მეტქი. და მოველი კიდეცა, თუ არ გამაგდებთ სალამოს მატარებლამდე.

კარენ. (ჰოცინის ცოლს, ჯიზას და უმწვიფის). — ისე ბედნიერი ვარ, რომ უნდა მომილოცოთ. ორი დღე სახლში დავრჩები: ხვალ იქ ყველაფერს უჩემოდ გააკეთებენ.

ლიზა. ორი დღე, — ძალიან კარგია! დიდი ხანია რაც ესე არ ყოფილა. წავალ სადმე. ჰა?

ანნა პავლ. როგორა ჰგავს! რა ყოჩაღია! მხოლოდ ყველაფერში კი ნუ დამსგვსება... გული ჰქონდეს მამისა...

ანნა დმიტრ. სისუსტის გარდა.

*) იხ. სურათებიანი დამატება, № 79.

ლიზა. ყველაფერი, ყველაფერი ვიქტორიც მეთანხმება, რომ ის პატარაობიდანვე ყოფილიყო რიგიან გზაზე დაყენებული...

ანნა პავლ. მაგეებისა არა ვიცი რა... მხოლოდ არ შემიძლია ხოლმე ის უცრემლოდ გავიხსენო.

ლიზა. ჩვენც. მერე როგორ გაიხარდა ჩვენს ხსოვნაში!

ანნა პავ. რაღა თქმა უნდა.

ლიზა. ერთ დროს ჩვენი საქმე როგორ დაუსრულებელი რამ გვეგონა და როგორ უცბად კი გადაწყდა.

ანნა დმიტ. შენ მატყლის ძაფი მომიტანე?

კარენ. მოგიტანეთ, მოგიტანეთ. (ზარკიდან იღებს). აგერ ძაფი, ეს ოდგეკოლონი, წერილები და ესეც მთაგრობის პაკეთი შენს სახელზე (აწოდებს ცფას). აბა, ანნა პავლოვნა, თუ გნებავთ ხელ-პირის დაბანა, მიგაცილებთ. მეც ხომ მჭირდება გასუფთავება, თორემ უკვე სადილობის დროა. ლიზა, ხომ ქვეით კუთხის ოთახშია ანნა პავლოვნა? გაფათრებული ღიბას აცხვავებულ სეჯებში უჭიკაუს ქაღალდი და კითხულობს).

კარენ. რა დაგეძარათა, ლიზა?! რა ამბავია?

ლიზა. ის ცოცხალია! ღმერთო ჩუო! როდის და გავნთავისუფლდები?! ვიქტორ! ეს რა ამბავია? (სტიკის).

ანნა დმიტ. რა არის? სთქვი მაინცა!

კარენ. საშინელება! ის ცოცხალი ყოფილა. მაშისადამე, ლიზა ეხლა ორქმირიანია და დამნაშავე. ეს ქალაღი გამომძიებელისაგან არის, ლიზას იბარებს.

ანნა დმიტ. რა აუტანელი კაცია! რა ჩაიღინა ეს?

კარენ. ყველაფერი სიცრუეა, სიცრუე!

ლიზა. ოხ, როგორ მეჯავრება! აღარ ვიცი, რას ვლაპარაკობ... (აწვდამდებულად გადის. კარგინი გაჭეუება).

გ ა მ ო ს ვ ლ ა III.

ანნა დმიტრევენს და ანნა ზაფლოვნა.

ანნა პავლ. როგორ, ცოცხალი დარჩენილა?

ანნა დმიტ. მხოლოდ ის ვიცი, რომ რაკი ვიქტორი იმ ლაფის სამფლობელოს ჩაერია... ისინი მაგასაც ჩაითრევდნენ. ჩაუთრევიათ კიდევ! ყველაფერში მოტყუება!.. ყველგან სიცრუე!

ფ ა რ დ ა.

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა მ ე ქ ვ ს ე.

ს უ რ ა თ ი პ ი რ ვ ე ლ ი.

გამომძიებლის კამერა. გამომძიებელი მაგიდასთან ზის და მელნიკოვს ელაპარაკება. გვერდით საქმის მწარმოებელი ქალაღებს ფურცლავს.

გ ა მ ო ს ვ ლ ა I.

გამომძიებელი, მელნიკოვი და საქმის მწარმოებელი.

გამომძი. მე იმ ქალისათვის არაფერი მიასქვამს. თვითვე გამოუგონია და მე კი მაყვედრის.

მელნიკ. კი არ გაყვედრით სწუხს.

გამომძი. მაშ, კარგი, სადილად მოვალ. ეხლა კი მეტად საინტერესო საქმეა. სთხოვეთ.

ხაქ. მწარ. ორივეს?

გამომძი. (წევას გაათავებს და სათუთუნეს ჯიბეში ჩაიდებს).— არა, მარტო ქნი კარენინისა, ანუ, სწორედ რომა ვთქვათ, პირველი ქრმით პროტასოვისა.

მელნიკ. (გასვლასს).—ა! ეს კარენინისა.

გამომძი. ჰო. ქუჭყიანი საქმეა! თუმცა ეხლა ვიწყებ გამოძიებას, მაგრამ ვიცი, რომ არ არის კარგი. მაშ, მშვიდობით (მელნიკოვი გადის).

გ ა მ ო ს ვ ლ ა II.

გამომძიებელი, საქმის მწარმოებელი და ღიზა, მაგ-ტანსაცმელშია და შიკ-ბადე აქვს სახეზე.

გამომძი. უმორჩილესადა გახლავთ (მიუთითებს საფარქელზე). მერწმუნეთ, ძალიან ვწუხვარ, რომ უნდა მოგცეთ რამდენიმე კითხვა, მაგრამ ჩვენ ჩაყენებული ვართ იმ გვარ პირობებში... გეთავაობ, დამშვიდდით და იცოდეთ, რომ თქვენ შეგიძლიათ ეპასუხოთაც დასტოვოთ ხოლმე ჩემი შეკითხვანი. მხოლოდ ჩემის აზრით თქვენთვის და ყველასათვისაც სჯობია სიმართლე. ყოყელთვის სჯობია სიმართლე, პრაქტიკულადაც.


ლიზა. დასაძალი არაფერი მაქვს.

გამომძი. ჰოდა, ესე (ქაღალდებს ათვალიერებს). თქვენი სახელი, წოდება, სარწმუნოება.—ეს ყველა ჩაწერილი მაქვს,—ხომ სწორედია?

ლიზა. ასეა.

გამომძი. თქვენ ბრალსა გდებენ რომ იცოდით ქმარი ცო-

მ ს მ ა ლ ა თ - ი ტ ა ლ ი ი ს ო მ ი.



1. იტალიელების მიერ დატყვევებულ იარაბა ჯგუფი.
2. ტყვე არაბების დახვრეტა.
3. იტალიის აფიცრის მკვლელ არაბის განამართლება.

ცხელი გაყავდათ და კიდევ მეორეს გაჰყევით ცოლად.

ლიზა. არ ვიცოდი.
გამომძ. კიდევ იმაში, რომ დაიყოლიეთ თქვენი ქმარი, ფულით მოისყიდეთ, სიყალბე ჩაადენინეთ—თავის მოკვლის სადარი, რომ იმისგან განთავისუფლებულიყავით.

ლიზა. ყოველივე ეგ სიცრუეა.
გამომძ. ჰოდა, აი, ნება მომეცით რამდენიმე კითხვა მოგცეთ. თქვენ იმას გასულ წლის მკათათვეში გაუგზავნეთ ფული, ათას ორასი მანეთი?

ლიზა. ის ფული იმისივე იყო. იმის გაყიდულ ნივთებიდან აღებული. და იმ დროს, როდესაც იმას განვშორდა და ველოდი გაყრას, ის ფულიც გაუგზავნე.

გამომძ. მაშეგრე. ძალიან კარგი. ის ფულები გაგზავნილია მკათათვის 17, ე. ი. იმისი დაკარგვის ორი დღის წინ.

ლიზა. მგონი რომ 17 მკათათვის. კარგად არ მახსოვს.
გამომძ. და თხოვნა კონსისტორიაში რაღად აღიძრა და ვეჭილასაც უარი საქმას მოსპობაზე რად ეთქვა?

ლიზა. არ ვიცი.
გამომძ. როდესაც თქვენ პოლიციამ მოგიწვიათ მკვდრის შესამოწმებლად, როგორ მოხდა, რომ იგი თქვენ ქმრად აღიარეთ?

ლიზა. მაშინ ისე აღელვებული ვიყავი, რომ არც კი დამიხედავს გვამისთვის. და დარწმუნებულიც ვიყავი; როდესაც მკითხეს. ვუპასუხე: მგონი, ეგ არის მეთქი.

გამომძ. თქვენ, რა თქმა უნდა, რიგიანად ვერ გაშინჯავდით მეტის აღელვებისაგან. კარგი მაშე, ნება მომეცით შევიტყო, თქვენგანვე ყოველთვის რად რად იგზავნებოდა ფული სარატოვში, სწორედ იმ ქალაქში, სადაც თქვენი პირველი ქმარი სცხოვრობდა?

ლიზა. იმ ფულებს ჩემი ქმარი გზავნიდა ხოლმე და არც რამ შემძლია ეთქვა იმის დანიშნულებაზე, რადგანაც ეგ ჩემს საიდუმლოებას არ შეადგენს. მაგრამ ვიცი კი ის ფულები ფეოდორ ვასილევჩის არ ეგზავნებოდა. ჩვენ დანამდვილებით დარწმუნებული ვიყავით, რომ ის ცოცხალი აღარ იყო. ამისი თქმა დანამდვილებით შემძლიან.

გამომძ. ძალიან კარგი. ნება მომეცით ერთი რამ შეგნიშნოთ, მოწყალეო ხელმწიფე, — ჩვენ მსახურნი ვართ კანონისა, მაგრამ ჩვენ ეს ხელს არ გვიშლის ადამიანებათაც დავრჩეთ. მერწმუნეთ, მესმის თქვენი მდგომარეობა და მას ვიზიარებ კიდევ. თქვენ დაკავშირებული იყავით კაცთან, რომელიც ქონებას ფლანგავდა, გღალატობდათ, — ერთი სიტყვით, უბედურებაში გამყოფებათ.

ლიზა. ის მიყვარდა.
გამომძ. კარგი, მაგრამ, მაინც და მაინც, გებადებოდათ სურვილი განთავისუფლებულიყავით და თქვენც ამოარჩინეთ ეს უბრალო გზა, თუმცა ის კი აღარ მოგივიდათ აზრათ, რომ ეს გზა მიგიყვანდათ, ეგრედ წოდებულ, დანაშაულობამდეს — ორქმობამდინ, — მესმის. ამას მსაჯულნიც მიჰხედებინან. ამიტომაც გირჩევდით, რომ ყოველივე გვეღვიარებინათ.

ლიზა. საღიარებელი არაფერი მაქვს. არასოდეს სიცრუე არ მითქვამს (სტიკანს). საქირო აღარა ვარ?

გამომძ. გთხოვთ, ცოტა კიდევ დაჰყოთ აქ. აღარ, სულ აღარ შეგაწუხებთ კითხვებით. მხოლოდ ნება მოგვეცით ეს წავიკითხოთ და თქვენ ხელს მოაწერთ. აგერ თვით გამოკითხვაც. ხომ ჯეროვანად არის თქვენი ჩვენება ჩაწერილი? უმორჩილესად გთხოვთ აქეთკენ (უხეხუნებს საგაძქვას ფანჯარასთან). სთხოვთ ბ-ნ კარენინს.

გ ა მ მ ე ზ ე III.

გამომძებელი, საქმის მწარმოებელი და ჯიზა. (შემადის კარენინი, სასტიკის და ჯიკსუქის გამომეტყველებით).

გამომძ. უმორჩილესადა გთხოვთ.
კარენ. გმადლობთ (ფეხზე დადგას), რა გნებავთ?
გამომძ. მოვალე ვარ ჩვენება ჩამოგართვით.
კარენ. როგორ?

გამომძ. (იღიმება) როგორც გამომძიებელმა თქვენ უნდა ჩვენება ჩამოგართვით, როგორც ბრალდებულს.

კარენ. ჰო-ო? რის გამო?
გამომძ. ქმრიანი ქალის შერთვის გამო. თუმცა, ნება მომეცით, რიგრივად მოგცეთ კითხვები. დაბრძანდით.

კარენ. გმადლობთ.
გამომძ. თქვენი სახელი?
კარენ. ვიქტორ კარენინი.

გამომძ. წოდება?
კარენ. კამერგერი, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი.
გამომძ. თქვენი წლოვანება?
კარენ. 38 წლისა გახლავარ.

გამომძ. სარწმუნოება?
კარენ. მართლმადიდებელი, სამართალში მიცემული არა ვყოფილვარ. სხვა?

გამომძ. თქვენ არ იცოდით, რომ ფეოდორ ვასილევჩი პროტასოვი ცოცხალი იყო, როცა თქვენ ირთავდით იმის მეუღლეს?

კარენ. არ ვიცოდი. ჩვენ ორივენი დარწმუნებული ვიყავით, რომ ის დაიბრჩო.
გამომძ. თქვენ ყოველთვის რად ვის უგზავნიდით სარატოვში ფულს იმ ცრუ ცნობის შემდეგ, ვითომც პროტასოვი მომკვდარიყოს?

კარენ. არა მსურს მაგ კითხვაზე გიპასუხოთ.
გამომძ. ძალიან კარგი. რა მიზნით გაუგზავნეთ ათას ორასი მანეთი ბ-ნ პროტასოვის სწორედ იმის ცრუ გარდაცვალების წინად, 17 მკათათვის?

კარენ. ის ფულები გასაგზავნათ გადმომცა ჩემმა მეუღლემ.
გამომძ. ბ-ნ პროტასოვისამ?

კარენ. ჩემმა ცოლმა, გასაგზავნათ იმის ქრმისათვის. ფული კარენინისა იყო და იმათ კავშირის გაწყვეტის შემდეგ, ქალმა უსამართლოდ სცნო იმის ფულები დაეკავებინა.

გამომძ. კიდევ ერთი კითხვა: თქვენ რათ შესწყვიტეთ საქმის წარმოება განქორწინებაზე.

კარენ. იმიტომ, რომ ეგ საქმე ნაკისრი ჰქონდა თვით ფეოდორ ვასილევჩის და ეს იმან წერილით შემატყობინა.
გამომძ. თქვენ ის წერილი ხელთა გაქვთ?
კარენ. წერილი დაკარგულია.

გამომძ. საოცარია, რომ აღარ არის და დაკარგულა ყოველივე ის, რასაც შეეძლო დაერწმუნებინა მართლმსაჯულება თქვენი ჩვენების ქეშმარიტებაში.

კარენ. კიდევ გსურთ რამე?
გამომძ. არაფერი მსურს გარეშე ჩემი მოვალეობის ასრულებისა და თქვენ კი თავი უნდა იმართლოთ; ეხლია ბ-ნ პროტასოვისას ვურჩევდი და თქვენც იმასვე გირჩევთ: ნუ ჰმაღლავთ იმას, რაიც ყველასათვის აშკარაა და რაც კი მოხდა ყოველივე აღიაროთ. მით უმეტეს, ბ. პროტასოვი იმ ყოფაშია, რომ იმან უკვე ყოველივე აღიარა როგორც კი აყო საქმე და შეეკვლია სასამართლოშიაც იმასვე იტყვის გირჩევდით...

კარენ. გთხოვთ, ნუ გადასცდებით თქვენის მოვალეობის საზღვრებს და რჩევასაც თავი დაანებოთ. ჩვენ წასვლა შეგვიძლია? (მიადის ჯიზასთან, რამეღვიც წამოგდება და კარენინს ხელს მოჰკიდებს).

გამომძ. ძალიან ვწუხვარ, რომ კიდევ უნდა დაგაკავოთ... (კარენინი გაკვირვებული შეჰხედავს). ო, არა, ეს იმ აზრით ხომ არ გითხარით, რომ მინდოდეს თქვენი დატუსაღება, თუმცა ეს უმჯობესი იქნებოდა ქეშმარიტების გამოსარკვევით, მაგრამ მაგ ზომას არ მივმართავ. მხოლოდ მინდოდა თქვენის თანადსწრებით პროტასოვისთვის ჩვენება ჩამომერთმია, პირის პირ შემახვედრებინეთ და მაშინ თქვენთვის აღვილი იქნება გემზილებინათ იმისთვის სიცრუე. გთხოვთ, დაბრძანდით. შემოიყვანეთ ბ. პროტასოვი.

(დასასრული იქნება)

გ. ახალციხელი.

